

სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის საქმიანობის 2018 წლის ანგარიში

- სამხრეთ კორეასა და საქართველოს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ქვეყნებს შორის საზღვაო-სანავიგაციო უსაფრთხოების კუთხით მჭიდრო თანამშრომლობას, სასწავლო კურსებსა და კონფერენციებში მონაწილეობას ითვალისწინებს. (ივნისი)
- საერთაშორის ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის მიერ დაფინანსდა, სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის, ჰიდროგრაფიული კვლევის, კარტოგრაფიისა და კორექციის სამმართველოს, ჰიდროგრაფიული კვლევის ინჟინრის 4 თვიანი „B“ კატეგორიის, ჰიდროგრაფიული კვლევის პროგრამის სასწავლო კურსი .
- ჰიდროგრაფიული კატამარანის მრავალსხივიანი ექოლოტი (ზღვის სიღრმეების საკვლევი მოწყობილობა) ახალ (მოდერნიზებულ) სისტემაზე გადაერთო, რაც ზუსტი მონაცემების მოპოვების საშუალებას იძლევა, საზღვაო რუკების საწარმოებლად.
- ფოთის პორტის აკვატორიაში განთავსდა ზღვის დონის ნჩქრევის (ტიაგუნის) განმსაზღვრელი ხელსაწყო მარიოგრაფი, რაც უზრუნველყოფს, მეტეოროლოგიური მოვლენა -ტიაგუნის (ზღვის ნჩქრევა, აკვატორიაში ტალღების რხევა, რომელიც საფრთხეს უქმნის რეიდზე მდგარ გემებს) პროგნოზირებას. (ივლისი)
- ფოთის პორტის აკვატორიაში რადიო მოპასუხე -რადიო რეკონი განთავსდა. ხელსაწყო ამარტივებს გემებისა და სხვა მცურავი საშუალებების უსაფრთხო კურსის განსაზღვრას მინიმალური ხედვის პირობებში, ნებისმიერი მეტეოროლოგიური პირობების დროს. (ივლისი)
- ფოთისა და ბათუმის პორტის აკვატორიაში განთავსდა ქარის საზომი ხელსაწყოები. ხელსაწყო ახორციელებს მეტეოროლოგიური მდგომარეობის რეალურ დროში დისტანციურ ავტონომიურ გაზომვებს და ინფორმაციის გადმოცემას ონლაინ რეჟიმში. (სექტემბერი)
- საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა IALA- ს ექსპერტების აუდიტი წარმატებით გაიარა.

სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის“ წარმომადგენლებმა პარიზში, შუქურების ორგანიზაციების საერთაშორისო ასოციაციის (IALA) სათაო ოფისში წარადგინეს ანგარიში, 2017 წელს IALA-ს ექსპერტების მიერ საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის სივრცეში ნავიგაციის უსაფრთხოების კუთხით განხორციელებული აუდიტის შემდგომ მიღებულ რეკომენდაციებზე. ანგარიშის თანახმად საქართველომ წარმატებით გაიარა აუდიტი და სრულად შეასრულა რეკომენდაციების ყველა პუნქტი.

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურში“ საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO) ტექნიკურ ექსპერტთა გეგმიური ვიზიტი განხორციელდა, რომლის ფარგლებში საერთაშორისო სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისობაზე გადამოწმებულ იქნა ჰიდროგრაფიული სამსახურის საქმიანობა.
- ექსპერტთა შეფასებით საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური სრულად უზრუნველყოფს რეგიონში საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO) რეგულაციებისა და სტანდარტების დაცვას.
- საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა სამხრეთ კორეის ჰიდროგრაფიისა და ოკეანოგრაფიის სააგენტოსთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. დოკუმენტი ქვეყნებს შორის საზღვაო კარტოგრაფიისა და ბათიმეტრიული კვლევების ერთობლივ წარმოებას, სამხრეთ კორეის მხრიდან საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახურის პერსონალის ტექნიკურ მხარდაჭერას, პერსონალის ურთიერთგაცვლას და სამუშაო პრაქტიკის ურთიერთგაზიარებას ითვალისწინებს.